ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:**ო47. 47233393**
თარიღი:**05/12/2023**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის - ლაშა თოლორდავას ანგარიში, 2022 წლის დეკემბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული საქმიანობის ამომრჩევლებთან (მოსახლეობასთან) შეხვედრის სხდომის

ოქმი

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 13 ნოემბერი 2023 წელი.

შეხვედრის ადგილი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი - ერკეთის ადმინისტრაციული ერთული.

შეხვედრას თვმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ირაკლი კუჭავა.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდმარე - ლაშა თოლორდავა;

მერის წარმომადგენელი ერკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში - სერგო კობიძე;

საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები;

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე და საკრებულოს რეგლამენტის 124-ე მუხლის შესაბამისად, მიმდინარეობს მეტად საპასუხისმგებლო ეტაპი, რომელიც საკრებულოს წევრის მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანაგრიშის ჩატარებას ითვალისწინებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, დამსწრეთ წარედგინა ანგარიში 2022 წლის ნოემბრიდან დღემდე გაწეული საქმიანობის შესახებ. მან ისაუბრა ამომრჩეველთა პრობლემური საკითხების მიზნით გაწეულ საქმიანობაზე და ერკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებულ პროექტებზე. მან აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში შეხვედრები ქონდა ამომრჩვლებთან (მოქალაქეებთან). მათი ძირითადი მოთხოვნა სოციალურ პრობლემებს და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ეხებოდა. არაერთ მოქალაქეს გაეწია შუამდგომლობა მედიკამენტების შეძენისა თუ სამკურნალო საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამის შესაბამისად.

უფლებამოსილების ფარგლებში მონაწილეობდა 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის პროცესში, ჩართული იყო მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური დახმარების გაცემის წესის შემუშავებაში, მერის წარმომადგენლებთან ერთად აქტიურად იღებდა მონაწილეობას სოფლის პროგრამით გათვალისწინებული პროექტების განსახორციელებაში (ანგარიში თან ერთვის).

ამომრჩეველთა მიერ ყურადღება გამახვილდა რამდენიმე პრობლემაზე, კერძოდ:

ჯვარს იქით უბანში გზა სარეაბილიტაციოა;

გაზის ცენტრალური მილები არის დასაფარი, რაც სოკარის ვალდებულებაა;

საბავშვო ბაღში მოსაწყობია შეშის სათავსო;

მონასტრის გზაზე ზამთარში ჭირს გადაადგილება, საჭიროებს მოწესრიგებას;

სარეაბილიტაციოა სოფლის ამბულატორიის შენობა;

ამომრჩევლებისა და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დადებითად.

ლაშა თოლორდავამ მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებს, საანგარიშო პერიოდში თანადგომისთვის და აღნიშნა, რომ არა მათი ჩართულობა არ მიიღწეოდა სასურველი შედეგი, მანვე მადლობა გადაუხადა მოსახლეობას თანადგომისათვის და შეპირდა მათ, რომ შეძლებისდაგვარად დაეხმარება ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოგვარებაში.

სხდომის თვმჯდომარე

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი